

თავისუფალი საქართველო

მრავალი მაგიდის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

19 VII 1991

ფასი 50 კაპ.

№ 26 (31)



საქართველოს
გეოლოგიის
ინსტიტუტი

ოლიგოპრი კომიტეტის გაგლახ-ოლიგოპრი სიუჟეტი

გაუთი „დრონი“ შეეკითხა ჩვენს ოლიგოპრი კომიტეტს, გაუგებრებთ თუ არა საერთაშორისო ოლიგოპრი კომიტეტს ოფიციალური განაცხადი, რომ მიგვიღონ თავის წევრად.

გენერალური მდივნის პირით საქართველოს ოლიგოპრი კომიტეტს ასე უპასუხებია:

ჩვენ ოფიციალურად მიწინააღმდეგობას ვუწოდებთ ოლიგოპრი კომიტეტს, როცა საქართველო პოლიტიკურ თავისუფლებას მიიღებს, ანდა თუ მოსკოვი მოლაპარაკების შემდეგ დაგვთანხმდება რეკომენდაცია გაგვიწიოს და აღიაროს სოკის წინაშე ჩვენი დამოუკიდებლობა. **საერთაშორისო ოლიგოპრი კომიტეტში გაწევრიანებისთვის ნამდვილ ბრძოლას აი, მაშინ დაგვიწყებთ**“.

დააკვირდით, მტკბარებო, ჩემს მიერ ნახვამულ სიტყვებს.

როდის აპირებს ჩვენი ოლიგოპრი კომიტეტი ნამდვილი ბრძოლის განაღობას?

თურმე მაშინ, როცა თმი უკვე დამთავრებული და მთავრებული იქნება.

თქვენ მერე ნახეთ, როგორ გადავებებით ბრძოლის ქარცეცხლში, საქართველო რომ პოლიტიკურ თავისუფლებას მიიღებს.

კიდევ უფრო დიმილისომგვრელია მეორე პირობა: აბა, მოსკოვი მა გაგვიწიოს რეკომენდაცია და მერე ნახეთ ჩვენთა ხმალია ქვევანი.

დალოცვილებო, ნამდვილი ბრძოლა განა სწორედ მაგ მოსკოვთან არა გვაქვს მთელ საქართველოს? მაგან თუ რეკომენდაცია გაგვიწია, მაშინ ვინდა დაგვიწყებს ბრძოლას, საერთაშორისო ოლიგოპრი კომიტეტში არ შეგვიშვებთ?

ერთი სიტყვით, ჩვენი ოლიგოპრი კომიტეტი ბრძოლას აპირებს მაშინ, როცა ბრძოლა საქირთ აღარც იქნება.

ნუთუ მან მართლა არ იცის, რომ ბრძოლა ახლაა საქირთ?

ნუთუ არ იცის, რომ ახლა, ამ წუთას, ყოველი მისი ნაბიჯი სწორედ ბრძოლაში წინგადადგმული ნაბიჯი უნდა იყოს?

იცის, მაგრამ ფრთხილობს, ანუ უფრთხის ნამდვილ ბრძოლას.

ვიცი, ჩემი სიტყვები მას ოლიგოპრი სიმშვიდეს დაუბრუნებს.

მიზნადც ესა მაქვს.

ხოლო საბუთი იმისა, რომ ჩვენი ოლიგოპრი კომიტეტი ბრძოლას უფრთხის, აქვე შემოიღია წარმოვადგინო.

როდესაც შარშანდელი ზამთრის მიწურულში ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობისთვის სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლები მივინგარებდა, მთავარი თუ არა, ერთ-ერთი დროშა მაინც ვის უნდა სჭეროდა მამაცს და ლომგულს? ცხადია, ოლიგოპრი კომიტეტს.

მაგრამ ვინ ნახა იგი ბრძოლის ველზე?

ვერავინ!

ვაგლახდ მშვიდი შორით ივდა ოლიგოპრი კომიტეტი.

და მხოლოდ მაშინ გამოჩნდა, როცა თმი მოგებული იყო. თუ ვინმეს ეპვი შეეპარება ჩემს ნათქვამში, ვთხოვ, გადაათვალიეროს გაზეთები და იგი ნახავს, რომ იმ ამბებში არსადაა ოლიგოპრი კომიტეტის ხსენება.

როდესაც ქართული ეროვნული მოძრაობის მიერ პრესაში გამოქვეყნებულმა განცხადებამ საბოლოოდ გააჩუმა ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მოწინააღმდეგე.

დევნი, მხოლოდ ამის შემდეგ შეგვახსენა თავი ოლიგოპრი კომიტეტმა, ჩვენც თქვენთან ვართო.

კომიტეტის ერთადერთი წევრი მონაწილეობდა იმ ბრძოლებში — ბატონი ივანე ყიფიანი. მან მხარი დაუჭირა დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს, მაგრამ ოლიგოპრი კომიტეტისგან რწმუნება არა ჰქონია. იგი პიროვნულად მოქმედებდა.

დიხ, ჩვენს ოლიგოპრი კომიტეტს ასეთი აქვს ჩვეულება.

ელის, თუ როდის გადაივლის ქვეა-ქუხილი და მერე გამოჩნდება მისალოცი დეკემბით.

ამ ჩვეულებებზე მან უარი უნდა თქვას.

და ჩაებას ომში.

მინდა შევახსენო საქართველოს ოლიგოპრი კომიტეტს: ქართველებმა ისე გამოვაცხადეთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომ მოსკოვს რეკომენდაცია არ გაუწევია. და ახლა ვიბრძვით, რათა ფაქტობრივადც გავხდეთ დამოუკიდებელი. ანუ ვიბრძვით იმისთვის, რომ მივადწიოთ სრულ პოლიტიკურ თავისუფლებას.

აი, ამ პოლიტიკური თავისუფლების მიღწევისთვის ბრძოლაში ჩვენი ოლიგოპრი კომიტეტი ერთი გულადი რაზმი უნდა იყოს.

მას კი ვაგლახდ მშვიდი პირიქით, ისე ჰგონია, რომ პოლიტიკური თავისუფლებისთვის სხვებმა უნდა იბრძოლონ და გამარჯვება მას მიაღწიოს მზა-მზარეული.

უცნაურია!

ოლიგოპრილობა ხომ ჯანსაღი და კუნთბაგარი სხეულების ხატებას აცოცხლებს ჩვენს გონებაში. ასეთ სხეულებში კი მამაცური სული უნდა სუფევდეს.

საქართველოს ოლიგოპრი კომიტეტი!

გთხოვთ, დაუყოვნებლივ გადაეშვათ ბრძოლის ქარცეცხლში!

ჯერ ერთი, ვალდებული ხართ, ასე მოიქცეთ.

მეორეც, თქვენსაირი ადამიანებისთვის, რომლებსაც მრავალ სპორტულ ჭიდილში მიგიღივთ მონაწილეობა, უდავო უნდა იყოს, რომ თვით ბრძოლაშია სიამოვნებაც და ჰეშმარტებაც.

გურამ კატრიშვილი

„საქართველოში უნდა იყოს ქართული ნიგონი ჰეგემონია“

თათბირი უზანადას საბჭოში

დღეს, ჩვენი ეროვნული მთავრობა ცდლობს ცხოვრების ყველა სფერო ეროვნული განადგობს. ამ მხრივ საყურადღებოა ჩვენი გამოცემისთვის მუშაობა, რომლის მთავარი მიზანი უნდა იყოს ეროვნული ლიტერატურის ბეჭდვა.

დასამალი არ არის, რომ დღეს თბილისის ქუჩებში თავი მოიყარა ალერსებულმა კოლონიალიზმის მიერ გამოცემულმა წიგნებმა, მათ შორის პარანორმალური, ფსევდო-რელიგიური ლიტერატურამ, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ქართველი კაცის ცხოვრების ჩამოყალიბებაზე (თავი დავანებოთ თვითნებურად გახრდილ შილა ფასებს) ეს ხდება მაშინ, როდესაც დაუბეჭდავი გვრება ქართული პოეზია, დრამატურგია, პროზა და სხვადასხვა ქართველი კლასიკოსების გამოქვეყნებული ლიტერატურა.

სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით უზანადას საბჭოში გაიმართა სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ გამოცემის დირექტორები, გამომცემლობის მუშაკები, მწერლები, მუშაობაში მონაწილეობდა პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია. სხდომა გახსნა კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მინისტრ-მოქმედი ჭომისიის თავმჯდომარე თეიმურაზ ქორიძემ, რომელიც მოკლედ შეგხო საგამოცემლო საქმიანობის პრობლემებს. ვრცელი სიტყვით გამოვიდა ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის თავმჯდომარე რეზო ლლონტი.

ჩვენს სისტემაში, დემოკრატიზაციის პროცესებში, დიდი ტემპით გაუსწრეს ახალი ნორმატიული დოკუმენტების შექმნას, — თქვა დეპარტამენტის თავმჯდომარემ, — რა თქმა უნდა, გამოცემლობებისადმი შემოღანი მითითება, კანონი, ბრძანებებით მართვა მოხსნილია. ჩვენი დეპარტამენტის აზრია, რომ საქართველოში ვისაც უნდა, უკვლას ჰქონდეს გამოცემის უფლება, მაგრამ ეს უფლება უნდა შემოიფარგლოს კანონით და ნორმატიული დოკუმენტებით. აქამდე ძალიან მცირე ბეჭდვითი წილი მოდიოდა საბავშვო ლიტერატურის გამოცემაზე — აღნიშნა დეპარტამენტის თავმჯდომარემ. მაგრამ ამ ბოლო ხანს გამოცემლობების ენერგიული მუშაობით ეს ხარვეზი აღმოიფხვრა და ამჟამად დიდი ყურადღება ეთმობა საბავშვო ლიტერატურის გამოცემას.

ბატონმა რეზომ აქვე აღნიშნა, რომ ვრცელდება დიდი რაოდენობით ზღმორწერები სხვადასხვა ლიტერატურაზე, მაშინ როდესაც ამ ნუთიოდე წლის წინათ საერთოდ არ

არსებობდა ასეთი ზღმორწერები. დეპარტამენტის თავმჯდომარე კონკრეტულად შეგხო იმ პრობლემებსაც რომელიც დღეს არსებობს ქალაქის განაწილებასთან დაკავშირებით. მისი აზრით გამოცემლობების შემდგომი მუშაობა დიდად არის დამოკიდებული კომერციული ქალაქის შემოტანაზე, ბატონმა დირექტორმა ზაზა გაუსცა იმასაც, რომ ამჟამად მიუღებელია კოლონიალიზმი გამოცემლობების არსებობა, რადგან ჯერჯერობით არ არის ნორმატიული დოკუმენტი იმისა, თუ როგორ უნდა იყოს კერძო გამოცემლობა.

დირექტორის გამოსვლის შემდეგ გაიმართა ცხარე კამათი. გამომცემლობებმა აღნიშნეს, რომ საქირთა გამოცემლობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და კოორდინირებული კოორდინირებული მუშაობა დეპარტამენტთან ერთად. მწერლებმა მხარი დაუჭირეს გამოცემლობა „საქართველო“ დირექტორის გურამ პეტრიაშვილის წინადადებას, რომ ქალაქი მთლიანად გადავიდეს დეპარტამენტის გამგებლობაში.

კამათში მონაწილეობდა ბატონი ზვიად გამსახურდია. მან დიდი ყურადღება დაუთმო გამოცემლობების დღევანდელ პრობლემებს, კერძოდ ქართული წიგნის გამოცემას, ბატონი პრეზიდენტი ზაზასთან შეგხო ქართული წიგნის სერიოზულ გამოცემებს, ქართული წიგნის, არქეოლოგიის შესახებ ლიტერატურის გამოცემებს, რომლებიც წლების მანძილზე დაუბეჭდავად დევს გამოცემლობებში. ბატონმა პრეზიდენტმა ასევე ურადღება გაამხვილა ამ ბოლო დროს მოქმედებულ ფსევდო-რელიგიური ლიტერატურაზე, როელიც უზემად არღვევს კანონიკურ წესებს და აშკარად ხელს უწყობს მართლმადიდებლური ქვეყნის ტრადიციული სარწმუნოების შელახვას.

ბატონმა ზვიადმა დეპარტამენტს შეახსენა, რომ კარგი იქნება, თუ ბიბლიოთეკებში არსებული მოძველებული, მდარე ლიტერატურისა

და პოლიტიკური წიგნის ხარჯზე მოხდებოდა ქალაქის დეფიციტის შევსება. ამასთან ერთად მოსახლეობის განსაკუთრებული აზროვნაც ხელს შეუწყობს ქალაქის მარაგის გაზრდას.

ბატონმა პრეზიდენტმა მოსთხოვა დეპარტამენტს რომ დაწესდეს ქართული წიგნის გამოცემაზე კონტროლი, ანდა დეპარტამენტთან შეიქმნას საკონტროლო საბჭო.

— დადგა დრო, რომ საქართველოში იყოს ქართული წიგნის შევსება — თქვა პრეზიდენტმა.

დასასრულს სხდომაში მიიღო პოლიტიკური ხასიათი, რომელშიც მონაწილეობდნენ გამოცემლობების დირექტორები და მწერლები: რ. მეტრეველი, ივანე გვერდსიფილი, ვახტანგ კელიძე, დავით მჭედლოვი, მურმან ლებანიძე, გივი ალბაჩიშვილი, ურუნაისტი მარიკა აბაიშვილი და სხვები.

მწერალმა გივი ალბაჩიშვილმა სხდომას აცნობა ახალი საქველმოქმედო ორგანიზაციის „ლომისის“ ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც უშუალოდ გამოცემის ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებს და ამჟამად დროს ქველმოქმედებას გაუწყვეს მწერლებს. ბატონმა გივიმ ამ საქმეში თანადგომა და მხარდაჭერა სთხოვა პრეზიდენტს და კულტურის კომისიას.

დასასრულს სხდომაზე გადაწყდა, რომ დეპარტამენტთან შეიქმნას მკოორდინირებული ცენტრი, რომელიც გამოცემლობებს დაეხმარება მატერიალურ-ტექნიკური მხარის გაუმჯობესებაში. ასევე კონტროლს გაუწყვეს წიგნის გამოცემას.

სახელმწიფო გამოცემლობებმა ყურადღება უნდა გამახვილონ კლასიკური, აგრეთვე საბავშვო ლიტერატურისა და სახელმძღვანელოების გამოცემაზე. კოლონიალიზმის საქმე უნდა დარეგულირდეს, რათა ქალაქის დაზარაება არ მოხდეს თვითმზნურად და უწყისიგოდ.

გურამ კატრიშვილი

მინაწერი:

დღეს არსებული ქალაქის დეფიციტი სოც.ზოგთათვის უკანონო გზით გამდიდრების დაუშრეტელი წყარო გამხდარა.

სამწუხაროდ, ამ შეხვედრაზე არ ურფილა გამახვილებული ყურადღება იმ მანქანერ სტრუქტურაზე, რომელიც გამყვებულია ამ სისტემაში და რომელიც ხელს აძლევს საბავშვო-საბავშვო მანქანებს. (იქნებ ძალიანაც გვეჩოთიოთება ეს სიტყვა, ბატონებო, მაგრამ მისი არსებობა ექვს არ იწავის).

შევედებით მომავალში სერიოზული პუბლიკაცია მიუძღვნათ საკამო-მკემლო საქმიანობასთან დაკავშირებულ ეველზე მწვავე პრობლემებს.



პრობლემა

სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის მონაცემების მიხედვით 34 დასახელების პირველადი მოხმარების სასურსათო საქონელზე საცალო ფასების კრებისთანავე ინდექსმა 247 პროცენტი შეადგინა, 29 დასახელების პირველადი მოხმარების არასასურსათო საქონელზე კი — 257 პროცენტი. ამით პირველადი მოხმარების სასურსათო და არასასურსათო საქონლის ფასები საშუალოდ 2,5-ჯერ გაიზარდა, მაშინ, როცა მოსახლეობაზე გაქვებული კომპენსაცია საშუალო ზღვრის 30 პროცენტს არ აღემატება.

იმის კონკრეტული რეფორმის შედეგად რამდენად დაქვეითდა საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების საშუალო დონე?

ცხოვრების საშუალო დონის დასახასიათებლად გამოიყენება საცხოვრებელი მინიმუმი (მისი სინონიმებია: „მინიმალური სამომხმარებლო კალათა“, მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტი; „სამომხმარებლო მინიმუმი“, „სიღატაკის ზღვარი“ და სხვ.). ის მოიცავს სასურსათო და არასასურსათო საქონლის (მათ შორის მომსახურების) ერთობლიობას, რომელიც აუცილებელია ადამიანის მოთხოვნილებების მინიმუმის დასაკმაყოფილებლად.

საცხოვრებელი მინიმუმის გაანგარიშების მრავალნაირი მეთოდიც არსებობს. მიღებული შედეგებიც შესაბამისად სხვადასხვაა. კერძოდ: ფინანსთა მინისტრი ვ. პავლოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე ამტკიცებდა, რომ საცხოვრებელი მინიმუმი 70 მანეთის ტოლია. ლიტვაში 1990 წლის 1 იანვრიდან საცხოვრებელ მინიმუმად 100 მანეთი დამტკიცებული; საქართველოს შრომის, სოციალური დაცვის და ლეგალიზაციის სამინისტროს გაანგარიშებით, 1990 წლისთვის საცხოვრებელმა მინიმუმმა 125 მანეთი შეადგინა.

თუ გავითვალისწინებთ რეალური მოთხოვნებს, საცხოვრებელი მინიმუმის არცერთი შემთხვევაში არ სიძლიერე გონიერების ჩარჩოებში არ თავსდება. ამიტომ ვადაუწყვეტებთ საკუთარი განგარიშებებზე წინაგვეტარებინა. ამისათვის დავეურდებით ექსპერტთა იმ მეთოდებს, რომლის მიხედვითაც საცხოვრებელი მინიმუმის 50 პროცენტი ძირითადი კვების პროდუქტებზე მოდის. მეთოდიკა გათვალისწინებულია ღარიბი მოსახლეობის საცხოვრებელი მინიმუმის გასაანგარიშებლად. მას საფუძვლად უდევს შემდეგი კანონ-ტენდენცია: რაც უფრო ღარიბია მოსახლეობა, მით უფრო იძულებულია თავისი შემოსავლების მეტი წილი დახარჯოს ძირითადი კვების პროდუქტებზე. ამ მეთოდის თანახმად, საცხოვრებელი მინიმუმის დასადგენად საკმარისია გაანგარიშებული იქნას კვების ძირითად პროდუქტებზე საკმარისი დახარჯვები და შემდეგ იგი გაორმაგდეს.

კვების ძირითად პროდუქტებს მიეკუთვნება იმ სასურსათო საქონლის ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია ადამიანის მოთხოვნილებათა მინიმუმის დასაკმაყოფილებლად. ასეთი კვების პროდუქტების ერთობლიობას სასურსათო „კალათას“ ეძახიან. მიზანშეწონილია, მას „საარსებო მინიმუმი“ ვუწოდოთ. ამით, ნათელი გახდება, რომ „საცხოვრებელი მინიმუმი“ და „საარსებო მინიმუმი“ ერთი და იგივე ცნებები არ არის.

საარსებო მინიმუმის გაანგარიშების დროს გამოყენებული იქნა: 1. საკავშირო მედიცინის აკადემიის კვების ინსტიტუტის მიერ საქართველოსთვის შემუშავებული ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურის მიხედვით ძირითადი კვების პროდუქტების მოხმარების მინიმალური ნორმატივები; 2. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1990 წელს ოჯახის ბიუჯეტის გამოკვლევის შედეგად კვების ძირითად პროდუქტებზე გამოყვანილი საშუალო ფასები ვაჭრობის ყველა სახის გათვალისწინებით (მათ შორის საკომლექსური ბაზრის).

საშუალო საარსებო მინიმუმი ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურის მიხედვით ფასების მომატებამდე იყო 90 მანეთი, ფასების მომატების შემდეგ კი — 225 მანეთი, ხოლო საშუალო საცხოვრებელი მინიმუმი ამავე სტრუქტურის მიხედვით ფასების მომატების შემდეგ კი — 450 მანეთი. ეს მონაცემები მიუთითებენ იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე ერთობლივი შემოსავლები, რათა დაკმაყოფილდეს ადამიანის მოთხოვნილებათა მინიმუმი.

საცხოვრებელი მინიმუმი არის სიღატაკის ზღვარი. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის ის ჯგუფები, რომელთა საშუალო სულადობრივი ერთობლივი შემოსავლები მოკლებულია საცხოვრებელი მინიმუმის ქვემოთ არის, სიღატაკში ცხოვრობენ.

როგორი იყო საქართველოში სხვადასხვა შემოსავლების მქონე მოსახლეობის ჯგუფების მდგომარეობა ფასების მომატებამდე და რა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ისინი ფასების მომატების შემდეგ?

საქართველოში 1989 წლის აღწერის მონაცემებით, სულ ცხოვრობდა 5.414 ათასი კაცი. აქედან

ფასების ცენზურის რეფორმის ზეგავლენა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე

მათი რიცხვი, რომლის თვისებრივი შემოსავალი 50 მანეთამდე, იყო დაახლოებით 136 ათასი, 50-75 მანეთამდე — 567 ათასი, 75-100 მანეთამდე — 889 ათასი და ა. შ. ერთი სიტყვით, ფასების მომატებამდე, როდესაც საცხოვრებელი მინიმუმი 180 მანეთი იყო, სიღატაკის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობდა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 72,9 პროცენტი, ანუ 3.948 ათასი კაცი, ხოლო როცა ფასების მომატებამ განზოგადდა და საცხოვრებელი მინიმუმი 450 მანეთამდე გაიზარდა, სიღატაკის ზღვარს ქვემოთ აღმოჩნდა თითქმის მიუგრო მოსახლეობა. ახლა ჩვენი ისეთი ოჯახი, რომლის თვიური შემოსავალი ოჯახის თითოეულ წევრზე 450 მანეთია, ძალზე იშვიათია.

ასე რომ, საცალო ფასების ცენტრისეული რეფორმის შემდეგ მოსახლეობის უდიდესი ნაწილის უპირველესი საზრუნავი გახდა არა საცხოვრებელი მინიმუმის გათვალისწინებული სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, არამედ ძირითადი კვების პროდუქტებით ოჯახის უზრუნველყოფა.

ფასების მომატებამდე, უსახსრობის გამო, კვების პროდუქტების შექმნა ძირითადი სამედიცინო ნორმების ფარგლებში არ შეეძლო მოსახლეობის მხოლოდ 16 პროცენტს, რადგან მათი საშუალო სულადობრივი ერთობლივი შემოსავლები საარსებო მინიმუმის ქვემოთ იყო. ფასების მომატების შემდეგ, საარსებო მინიმუმის 225 მანეთამდე გაზრდით და არასათანადო კომპენსაციით, სამედიცინო ნორმების ფარგლებში კვების ძირითადი პროდუქტების შექმნის შესაძლებლობა დაკარგა მოსახლეობის 66 პროცენტმა, ე. ი. 3.573 ათასმა კაცმა. მათ შორის არიან მცირეშემოსავლიანი და მრავალშემოსავლიანი ოჯახები, ინვალიდები, პენსიონერები, სტუდენტები და სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მნიშვნელოვანი ნაწილი. ისინი განწირული არიან საშემოსულოდ, მაგრამ არა პროდუქტების ლეფციტის გამო, როგორც ეს ფასების მომატებამდე იყო, არამედ პროდუქტების მნიშვნელოვანი გაძვირების გამო.

ამრიგად, მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების საშუალო სულადობრივი ერთობლივი შემოსავლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დავინახავთ, საცალო ფასების მომატების შემდეგ მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ცხოვრების დონე საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ არის.

როგორია საარსებო და საცხოვრებელი მინიმუმის ფაქტობრივი უზრუნველყოფა 1990 წლის მონაცემების მიხედვით და როგორი იქნება იგი ფასების მომატების შემდეგ?

ფასების მომატებამდე, საშუალოდ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, საცხოვრებელი მინიმუმის ფაქტობრივი უზრუნველყოფა ლიბერულებით ერთეულებში შეადგენდა 150 მანეთს, ე. ი. ცხოვრების საშუალო დონე იყო საცხოვრებელი მინიმუმის 83,3 პროცენტი, ფასების მომატების შემდეგ კი, როცა საცხოვრებელი მინიმუმის ფაქტობრივი უზრუნველყოფა კომპენსაციის გათვალისწინებით 150+60=210 მანეთი გახდა, იმის გამო, რომ საცხოვრებელმა მინიმუმმა 450 მანეთს მიაღწია, ცხოვრების საშუალო დონე 46,7 პროცენტამდე შემცირდა.

მიღებული შედეგების ურთიერთშედარებით დავადგინებთ, რომ საცალო ფასების ცენტრისეული რეფორმის შედეგად მოსახლეობის ცხოვრების საშუალო დონე თითქმის ორმაგად, კერძოდ, 83,3 პროცენტთან 46,5 პროცენტამდე შემცირდა. თუ გავითვალისწინებთ აგრეთვე სხვა ფაქტორებსაც, კერძოდ იმას, რომ მანეთის მყიდველობითი უნარიანობის კატასტროფული დაქვეითების რისკის დაზარალების გამო და ბანკში მოსახლეობის ანაბრების ნაწილობრივ გაუარესება ფასების მომატების გამო და ა. შ. აღმოჩნდება, რომ ჩვენი ცხოვრების დონე უფრო მეტად არის გაუარესებული, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

მხოლოდ საცხოვრებელი მინიმუმის — ძირითადი სასურსათო და არასასურსათო საქონლის, მათ შორის მომსახურების გაძვირებით რესპუბლიკის ბიუჯეტში მოსალოდნელი შემოსავლები 920.380 ათას მანეთს აღწევს თვეში. აქედან ფასების მომატების საკომპენსაციო ხარჯებზე მიღეს 324.900 ათასი მანეთი. ეს თანხა ფასების ზრდის შედეგად ბიუჯეტში მოსალოდნელი შემოსავლების 35 პროცენტია. მაშასადამე, საცალო ფასების ზრდით ამონაგები თანხის დიდი ნაწილი მოსახლეობას არ უზრუნველდება. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ საცალო ფასების ცენტრისეული რეფორმის გამოწვეული მთელი სიმძიმე უპირატესად მოსახლეობის იმ ნაწილს დაეწვევა კისერზე, რომელსაც თვიდან-თვემდე ხელფასით გააქვს თავი. მოსახლეობის ასეთი კატეგორია უმცირესობას როდი წარმოადგენს. მათი საშუალო სულადობრივი ერთობლივი შემოსავლების ამჟამინდელი დონე საარსებო მინიმუმის ჩარჩოებსაც კი ვერ სცდება. საცალო ფასების ისეთ რეფორმას, რომელიც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის საშუალებას ართმევს, არ შეიძლება რაიმე გამართლება მოეძებნოს. საცალო ფასების ცენტრისეული რეფორმის ავტორები ვარაუდობენ, რომ ამ გზით, უმოკლეს დროში მოსახლეობიდან ამოღებული იქნება დიდძალი „ჭარბი“ ფულადი მასა და შეივსება ბიუჯეტის ლეფციტი. მაგრამ

ისინი არა აგდებენ იმას, რომ ეს „ჭარბი“ ფულადი მასა მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილის ხელშია თავმოყრილი. საცალო ფასების ცენტრისეული რეფორმაში ერთი მზაკვრული მიზანიც არის ნეკარაულებელი. იგი ითვალისწინებს რესპუბლიკის წინააღმდეგ აშკარა კონფორმაციიდან, „კონსტიტუციური“, ანუ „კანონით“ შორის ბრძოლიდან „სიმძიმის ცენტრის“ გადატანას საფინანსო-საკრედიტო სფეროზე. ამით ცენტრი ცდილობს ფინანსურად მოახრჩოს „ურჩი“ რესპუბლიკებზე, შეუქმნას მათ არასტაბილური სოციალურ-ეკონომიკური პირობები და საბოლოო ჯამში მოაჭიოს ისინი ცენტრის მარწუხებში.


საცალო ფასების ცენტრისეული რეფორმის ჩვენი მოსახლეობა გარკვეული სიღინჯით შეხვდა. ასეთი მდგომარეობა გასტანს განამ, სანამ მოსახლეობაში პირველადი მოხმარების საქონლის დაგროვებითი მარაგი და ფულადი დანაზოგები არ გამოილევა.

რა იქნება შემდგომ? შემდგომ აუცილებლად დღის წესრიგში დადგება მოსახლეობის შემოსავლების ინდექსაციის, ხელფასის რეფორმის პრობლემა. შემოსავლების ინდექსაცია გულისხმობს სახალხო მოხმარების საქონელზე ფასების ზრდის შესაბამისად ხელფასების მომატებას. საცალო ფასების რეფორმამდე არსებული ცხოვრების საშუალო დონის შესანარჩუნებლად საჭიროა მოსახლეობის საშუალო სულადობრივი ერთობლივი შემოსავლების სიდიდე, რომელიც კომპენსაციის გათვალისწინებით ამჟამად 210 მანეთია, გაიზარდოს 380 მანეთამდე. ე. ი. ყოველი მუშა-მოსამსახურის ხელფასი უნდა გაიზარდოს 170 მანეთით. 380 მანეთი, საშუალოდ მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებული ერთობლივი შემოსავლების ის სიდიდეა, რომლის დასაქონლებას, მომატებული ფასების შესაბამისად, რესპუბლიკა შეძლებს მხოლოდ მაშინ, თუ წარმოებისა და მომსახურების მოცულობა 1990 წლის დონეზე დარჩება. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელი მინიმუმის გაზრდით მიღებული ამონაგები მოსახლეობის მთლიანად დაუბრუნდება პირდაპირ ე. ი. ხელფასზე წაბნატივით, ან არაპირდაპირ — სხვადასხვაგვარად შეღავათებით, ერთდროული დახმარებით და სხვ.

აქვს თუ არა დღეს საქართველოს რესპუბლიკას მოსახლეობის ყველა კატეგორიისთვის საცხოვრებელი მინიმუმის გაზრდის სრული კომპენსაციის საშუალება? პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამის საშუალება რესპუბლიკას არ გააჩნია.

საცალო ფასების მომატებით, საქართველოს ბიუჯეტში მოსალოდნელი შემოსავლები 60 მანეთზე გადაანგარიშებული საკომპენსაციო ხარჯების გამოკლებით შეადგენს 6 მილიარდ მანეთს. აქედან, 3 მილიარდი მანეთი მოხმარდება საქართველოს ბიუჯეტის ამჟამინდელი ლეფციტის დაფარვას. „თავისუფალი“ რჩება მხოლოდ 3 მილიარდი მანეთი. მიზანშეწონილია მისი გამოყენება მიზნობრივად, პირველ რიგში შედარებით ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის დახმარებისათვის და სოციალურ-კულტურულ სფეროში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების საშუალო სიდიდის გაზრდისათვის საცხოვრებელ მინიმუმამდე თუ არა, საარსებო მინიმუმამდე მიიწვ.

აგლი ბერიძე



აღარნასე მრისმთავარი



წარმომადგენლის რედაქციის დეპუტატი, ნ. შანიშვილის რედაქტორული.

„მართლმადიდებელი“ მიხედვით, სტეფანოს ერისმთავრის შემდეგ ქართლის ერისმთავარი გახდა ადარნასე — მაშინ კისარმა მოაწყო და ძესა ბაქურისა, ქართველთა მეფისა, ნათესავსა დაჩისასა, ვახტანგის ძისასა, რომელი ერისთავი იყო, რომელსა ერეკლე ადარნასე და მისცა ტფილისი და მთავრობდა ქართლს“ (VII ს. პირველი ნახევარი).

ქუანშირის ცნობით, სტეფანოსი დიდი ბიზანტიელმა და ჰაზარებთან ბრძოლაში, როდესაც ისინი თბილისს ალყას ცდილობდნენ. პირველი კისარმა ხაზარებთან ერთად ქართლში 627 წელს ილაშქრა, მეორე კი 627 წელს, რომელიც ადარნასე I შესცვალა 602-603 წლებში, ასე რომ, მტკიცედ ცნობა ამ შემთხვევაში ისტორიულ სინამდვილეს უსტყავს ვერ ასახავს. ქუანშირის აღწერის თბილისის ციხის ალყას, რომელიც დიდხანს გაგრძელდა, პირველი კისარმა ვე-

რაფერი გააწყო, ქართველებმა მის თურმე ასე დასცინეს — „ვაცის წუერნი გასხენ, ვაც-ბოტისა ისერი ვათქს“ (სომხურ მატანეში აღნიშნულია, რომ ქართველებმა მასხრად აიგდეს აგრეთვე ხაზარების მმართველი ჯიბლუ-ხაჯანი, უზამხარა გოგრაზე დამხინჯებული სახე გამოხატეს, ციხის გალოგანზე დადეს, შუბით ჩხელუტდნენ და უკანდობულ ხაზარებს მისძახობდნენ — „აი, თქვენი მეფე-ხელმწიფე, მობრუნდით თაყვანი ეცით. ეს ჯიბლუ-ხაჯანია“).

თბილისთან განცილებილ მარცხის მიუხედავად პირველი კისარმა პირდაპირ ირანზე გაილაშქრა (თბილისი ხაზარების ალყაში დარჩა). 627 წელს ნინევის მახლობლად ბიზანტიელებმა სპარსელები სისტიკად დაამარცხეს. 628 წელს ბიზანტიასა და ირანს შორის ზავი დაიდო, რის შემდეგ თბილისის ბედიც გადაწყვიდა. იმავე წელს ორი თვის მდგრადი ბრძოლის შემდეგ ხაზარებმა ხაკა-

ნის ძმისწულ შათის მეთაურობით თბილისი აიღეს.

ქუანშირის წიგნი — შემდგომად მცირედი და დიდი წარიდეს კალა და შეიპყრეს ციხისთავი იგი. ამან ერისთავმან პირველად პირი დრაპკინთა აღუგსო და რომელ სიტყუითა შენითა კისარმან განიხაროს. და შემდგომად ამისა ტყავი გაჰხა და აკისარსა უკანა მისწი გარდაბანს: კადრებისათვის მეფისა უყო ესე“. სომეხი მემატიანეს ცნობით, ხაზარებმა ველოური სისტიკით გაუღიბეს თბილისელები, განურჩევლად სქესისა და ასაკისა. ხაზარებს შეუპყრიათ ორი მთავარი: ერთი შაჰის ნიკელი და ერთი, ავგილობრივი მმართველი ქართველი მთავართა სახლიდან, სახელიად ვარსამუსე (ამასვე ადისტურებს ბიზანტიური წყაროც). ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ იმ პერიოდში ადარნასეს დროებით დაკარგული ჰქონდა ერისმთავრობა და, ალბათ, კახეთში იყო გამაგრებული. ვარსა-

მუსე და სპარსელი მთავარი ჰერაკლე კისარს მიუგვარეს. მანაც ტყვედ ჩვენი თვალთახი დათარა, შემდეგ ჩამოხარხო, შემდეგ ტყავი გააძრო, თვით გატენა და ქალაქის კედელზე გადმოვიდა. შემდეგ კისარმა წარმართები და აცესლოთყვანისმცემლები გაწყვიტა. „მოქცევი ქართლისაის“ მატანეს ცნობით, „ყოველნი მოგუნი და აცესლოსა მსახურნი ანუ მოინათლენ, ანუ მოისრინენ“. როგორც ჩანს, უკეთესი დღე არც მწვალებლებს, მონოფიზიტებს (მონოფიზიტა ის, ვინც ქრისტეს ერთბუნებიად, მხოლოდ ღვთაებრივი ბუნების მქონედ აღიარებს) დააღვათ. პირველი „გაწმინდა შულო ქრისტესი და წაივია“. კისარ ჰერაკლეს ძლევათსილი ლაშქრობების შედეგად ამიერკავკასიაში კარგა ხნით ბიზანტიელთა პოლიტიკური ჰეგემონია დამყარდა. მაშინ კუალად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლსა: სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღუის პირი. და შვილი სტეფანოსისი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა, ხოლო ყოველი ქართლი დიპყრა ადარნასე, ბაკურის ძემან, მთავრობით, და მეფის სახელი ვერცა მან იპყრა, და ერისთავნი იგი თვის-თვისა საერისთავოსა ზედა შეუცვლელად მორჩილობდეს ადარნასე მთავარსა“.

ქუანშირის აღნიშნავს, რომ ჰერაკლე კისარმა სპარსეთიდან წარმოიყვანა ძელი ცხოვრებისა“ (ჯვარი, რომელზეც გააკრეს მაცხოვარი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე და რომელიც 614 წელს იერუსალიმის აღების შემდეგ შაჰ ხოსრო II-ს ჩაუვარდა ხელში). მაგრამ, ამასთან ერთად, ჩვენს საუბრეში უფროსი და ველოური ფიციანი და შამქული უფლისა ჩვენისა იესოს ქრისტესის, რომელიც მოცემულ იყვნენ კონსტანტინესაგან მირიანისდა. შეუხდა ადარნასე, ქართველთა მთავარი, და ველოურთა კისარსა, რათა არა წარხუდეს ნიჭი იგი დროთისა მდინარე. არა ისმინა კისარმან ველოურთა მისი და წარიხუნა“.

ადარნასეს დროს მოხდა ქართლსა და სომხეთს შორის საეკლესიო განხეთქილება (606-608 წწ). ამ უთანხმოებას ჰქონდა როგორც დოგმატიკური, ასევე პოლიტიკური-ეკლესიური არსი. სპარსელები მო-

ნოფიზიტებს მფარველობდნენ, რადგან ბიზანტიელები დიოფიზიტები (ქრისტეს ორბუნებულობის მიმდევარბელები) იყვნენ. „მოქცევი ქართლისაის“ ცნობით, „ყოველნი მოგუნი და აცესლოსა მსახურნი ანუ მოინათლენ, ანუ მოისრინენ“. როგორც ჩანს, უკეთესი დღე არც მწვალებლებს, მონოფიზიტებს (მონოფიზიტა ის, ვინც ქრისტეს ერთბუნებიად, მხოლოდ ღვთაებრივი ბუნების მქონედ აღიარებს) დააღვათ. პირველი „გაწმინდა შულო ქრისტესი და წაივია“. კისარ ჰერაკლეს ძლევათსილი ლაშქრობების შედეგად ამიერკავკასიაში კარგა ხნით ბიზანტიელთა პოლიტიკური ჰეგემონია დამყარდა. მაშინ კუალად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლსა: სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღუის პირი. და შვილი სტეფანოსისი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა, ხოლო ყოველი ქართლი დიპყრა ადარნასე, ბაკურის ძემან, მთავრობით, და მეფის სახელი ვერცა მან იპყრა, და ერისთავნი იგი თვის-თვისა საერისთავოსა ზედა შეუცვლელად მორჩილობდეს ადარნასე მთავარსა“.

ადარნასე ერისმთავრის საგარეო პოლიტიკა თავიდანვე ბიზანტიური ორიენტაციისა იყო. მას ჯერ კიდევ უფლისწულბაში მთავრად კისარისგან მიღებული ჰქონდა „საბატონის“ ბიზანტიური საკარისკაცი ტიტული.

ადარნასე ერისმთავარი მართლმადიდებლობის ერთგული იყო ყოველთვის. სწორედ მან დაასრულა მცხეთის ჯვრის ტაძრის მშენებლობა — „და ეკლესია ქუარის პატრიონისა და სიონს ტფილისისა გაესრულნენ ადარნასე ქართლისა მთავარსა“.

ადარნასე ერისმთავრის რელიგიური გამოსახულება დღემდე შემონახულია ჯვრის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე.

„მოკლდა ადარნასე, დადგა მის წილ ძე მისი სტეფანოს“.

ნოაშვილი ლომიჯინა

სოციალიზმი

წარმოადგინეთ საკლასო თანხი, შრომითი კოლექტივი ან სხვა ნებისმიერი დაწესებულება. აქ აღნიშნული გარკვეული მიზნით, ფუნქციით, ინტერესებით ან სხვა მოტივებით არიან გაერთიანებული. არსებობს დაწესებულება და დაწესებულებების კანონები თუ რა ევოლუციონის, მათ, რა უნდა აკეთონ, როგორ უნდა აკეთონ და ა. შ. მაგრამ ადამიანები არ უფიქრდებიან იმაზე, თუ რა უნდა აკეთონ ისინი როგორ უნდა განლაგდნენ ისინი სივრცეში, ანუ, ზოგადად, რა მნიშვნელობა აქვს ადამიანთა განლაგებას სივრცეში. ა ხის ზის გვერდით, ბ ხის ზის გვერდით და ა. შ. ოპტიმალურია ეს? იქნებ ჯობდა ბ მკდარიყო ბის გვერდით? როგორ უნდა განლაგდნენ მანქანები? როგორ უნდა დაეწესებულა თანამშრომლები სივრცეში ისე, რომ ერთმანეთის გვერდით მუშაობდნენ ისინი, ვის გვერდითაც უფრო უნდათ ყოფნა.

აი, კითხვები, რომლებიც შეიძლება ბევრს მოსვლია თავში, მაგრამ როგორც სისტემაში მოყვანილი იდეა, მეცნიერული შეხედულება ამერიკელმა მეცნიერ-ფსიქოლოგმა და სოციალურმა ფსიქოლოგმა ჯეიმზ მორენომ (1892-1974) წამოაყალიბა. ნოაშვილის მახლობლად, პალსონში, ქალიშვილების ერთ-ერთი ინტერნატი იყო. აქ მთელ ევალბოლდათ თეთრეულის რეცხვა. ინტერნატის ჯგუფი შედგებოდა ქვეჯგუფებისაგან, რომლებიც სხვადასხვა საქმიანობას ასრულებდნენ: ერთნი თეთრეულს აბარისებდნენ, სხვები ხარშავდნენ, წურავდნენ, აუთობდნენ, აწყობდნენ და ა. შ. ამგვარი იყო ინტერნატის მკაროსტრუქტურა. ჯ. მორენო ამ ინტერნატში იწყებს თავისი იდეის ექსპერიმენტულ კვლევას, აინტერესებს ჯგუფის მკაროსტრუქტურა ანუ ჯგუფის წევრთა შორის (ამ შემთხვევაში — ინტერნატის მოწვეულთა შორის) ფსიქოლოგიური ბაღე: ვინ უნდა ამა თუ იმ გოგონას თავის მეგობრად, ვისთან აქვს მეტი და ნაკლები სიმპათია?

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლაქსიკონი

ანტიპათია ვისთან არ უნდა ახლოს ყოფნა მუშაობისას, ვისადმიაც სრულიად გულგრილია. ე. წ. სოციალურ-ტრიბუნატი ტესტებით ჯ. მორენომ საქმოდ აღვივალა დაადგინა, რომ მკაროსტრუქტურა არ შეესაბამება მკაროსტრუქტურას, ე. ი. ადამიანთა ფაქტობრივი განლაგება სივრცეში არ შეესაბამება მათ სასურველ, ოპტიმალურ ვარიანტს; ზოგიერთ გოგონას არ უნდოდა გვერდით ის მუშაობდა, ვინც მუშაობდა ან — პირიქით.

მორენომ ჯგუფი შეცვალა მკაროსტრუქტურის სქემის მიხედვით. ამ ცვლილებამ აშკარა დადებითი შედეგები მოიტანა გოგონათა საქმიანობაში. შეწყდა კამათი, განხარდა სამუშაოსადმი ინტერესი, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება და ა. შ. როგორც შემდგომ მორენო დაადგინს მკაროსტრუქტურის გარდაქმნით მთელი ჯგუფის 80%-ის მუშაობის გაძლიერება შეიძლება.

ანალიტიკური ექსპერიმენტები ჩატარდა ინტერნატის სასადალო ოთახში, სკოლაში, ხოლო შემდეგ, როდესაც ამ მეთოდმა დიდი რეზონანსი გამოიწვია, იგი ფართოდ გავრცელდა და დღეს პრაქტიკულად გამოიყენება დასავლეთის ქვეყნებში სოციალური მართვის სისტემაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში არის ჯ. მორენოს სახელობის სოციალური ექსპერიმენტული ინსტიტუტი. 1937 წლიდან გამოდის ჟურნალი „სოციალური“, 1956 წლიდან — „სოციალურიის საერთაშორისო ჟურნალი“.

სოციალურიის შესახებ ფუძემდებლური წიგნი 1934 წელს გამოვიდა. ეს არის ჩვენთვის უკვე ნაცნობი მეცნიერის ჯ. მორენოს წიგნი „ვინ გაუძლებს“. 1953 წელს ავტორმა მნიშვნელოვნად გააფართოვა და შეავსო ეს წიგნი და სრულყო მკაროსტრუქტურის მახლობელი — ადამიანთა საზოგადოებ-

ის სოციალური ქცევის ბიბლია უწოდდა.

მორენომ თავისი მოღვაწეობა ავსტრიის კლინიკებში და ინსტიტუტებში დაიწყო. 1925 წ. ამერიკაში გადასახლდა. განიცდიდა გერმანელი სოციალოგების გეორგ ზიშლის და ლეოპოლდ ფონ ვიხეს შეხედულებათა გავლენებს. პრაქტიკულ მოღვაწეობაში ზიშმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზს ეყრდნობოდა. ხანგრძლივმა პრაქტიკამ მას ფსიქოანალიზის სუსტი მხარეები დააჩინა. კერძოდ — ექსპერიმენტების ჩატარება ხოლოპირებულ პირობებში და ვადაწყვიტა, რომ უფრო ეფექტურია ჯგუფებში მუშაობა. ისიც აღმოჩინა, რომ კონფლიქტების, დაძაბულობების და ნევროზების მოხუხები ჯგუფთან და კოლექტივთან აღამიანს ადამიანთა არასრულყოფილებაშია საძებნი. მორენოს ამოსავალი დებულება ის არის, რომ საზოგადოების თავისი მკაროსტრუქტურის გარდა აქვს შინაგანი არაფორმალური მკაროსტრუქტურა, რომელიც ყალიბდება ინდივიდუალური ლტოლვებით, მიზიდვებით და განხილვებით, ადამიანთა ფსიქოლოგიური ურთიერთდამოკიდებულებებით. სოციალურიის ამოცანაა ადამიანთა შორის უხილავი ემოციური კავშირების გამოვლენა და გახომავა.

საფრანგეთში სოციალურიის ფუძემდებელია ფრანსუა სოციალურიის კლასიკოსი ჟორჟ გურუნი (1894-1965). იგი მორენოს დროსვე ეწეოდა სოციალურიის პროპაგანდას, მაგრამ მხოლოდ II მსოფლიო ომის შემდეგ გამოაქვეყნა თავისი მნიშვნელოვანი ნაშრომები ამ სფეროში. მისი აზრით, სოციალურიის საერთოდ საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარების ყველაზე მაღალი დონე.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1956 წელს სოციალოგთა ერთი ჯგუფი გამოვიდა მოწ-

ოდებით გერმანიაში სოციალურიის განვითარების შესახებ.

სოციალურიის დღეს სოციალოგისა და სოციალური ფსიქოლოგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. მის მეთოდებს ფართოდ იყენებენ მცირე სოციალურ ჯგუფებში პიროვნებებს შორის ურთიერთობების შესასწავლად.

ტერმინი „სოციალურიის“ შედგება ორი სიტყვისგან — სოცია („საზოგადოებრივი“) და მეტრია („გაზომვა“) ანუ საზოგადოების გაზომვა, სოციალური გაზომვა. როგორც თვითონ მორენო წერს, „სოციალურიის მნიშვნელობაა საზოგადოების სოციალური ჯგუფის შინაგანი სტრუქტურის, რომელიც შეიძლება შედარდეს ატომის ბირთვულ ბუნებას, ანდა უკრფოდეს ფიზიოლოგიურ სტრუქტურას“.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში რთული ხელსაწყოების დახმარებით ადამიანმა შეძლო უხილავი სამყაროს დასახვა. მკაროსტრუქტურის სახეობაში ჩაებდა მეცნიერების საშუალებას ადვილად შეიქმნოს ბუნების კანონები და ადამიანის საკეთილდღეოდ გამოიყენოს. სოციალურიის მნიშვნა, რომ მანაც ასეთივე გადართილება მოახდინა. უშუალოდ დაუკვირვებელი პიროვნებები მას წარმოუდგენია ადამიანთა ფსიქოლოგიური ურთიერთობების სახით. საზოგადოების უმარტივესი მკაროსტრუქტურის არის „სოციალური ელემენტონი“, ანუ გრძობის უმარტივესი ერთეული. ამ ელემენტებში შემოღის შავი სიყვარულის, მეგობრობის, მტრობის, შურის და სხვა გრძობები, რომლებიც ადამიანში არსებობს. ფიზიკური ელემენტონების მსგავსად, ატომში მათი მიზიდვით ან განხილვით ისინი სხეულის და ატომების არსს, თვისებას ცვლიან. გარეგანი, გრძობადი აღქმისათვის ხელისაწვდომი სტრუქტურებით ერთად თითოეულ ჯგუფს საფუძვლად უდევს ალქემი, დაუნახ-

ვი, არაფიციკალური სტრუქტურა, რომელიც უფრო ცოცხალია, ვიდრე პირველი. ეს პირველი, გარეგანი სტრუქტურა არის მკაროსტრუქტურა, მეორე — მკაროსტრუქტურული, შინაგანი. მკაროსტრუქტურის განცნობა დიდი აშბავი არ არის. მთავარია მიკროსტრუქტურა. მიკროსტრუქტურა არ ასახავს მკაროსტრუქტურას“.

მორენოს აზრით, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყველა პრობლემა გადაწყდება ადამიანთა სივრცობრივ გადაადგილებით, მათი იმედად განლაგებით, რომ მათგანდით ის ინდივიდები აღმოჩნდნენ, რომელთაც ერთმანეთისადმი სიმპათიები აქვთ. საზოგადოებრივი პარამონის მისაღწევად საკმარისია მკარო და მკაროსტრუქტურების შეთანხმება. სოციალურიის ამ კონცეფციას ანოზადებს მთელ საზოგადოებაზე და ფიქრობს, რომ ამ გზით შეიძლება „სოციალურიის რეგულაცია“ მოხდეს; საერთოდ, საზოგადოების ამგვარი გარდაქმნა უნდა განხორციელდეს.

სოციალურიის ამ ელემენტარულ სიხშირე, რომელიც საზოგადოების განვითარებაში მთავარ მნიშვნელობას ანიჭებს მკაროსტრუქტურას. სოციალურიის მოახდინა ფსიქიკური ურთიერთობათა ამოღობისის კრიტიკოსები ფიქრობენ, საეკვლა მცირე ერთგვარობანი ჯგუფების სოციალური კვლევით მიღებული დასკვნების განზოგადება მთელ საზოგადოებაზე.

სოციალურიის გამოყენებამ კარგი შედეგები გამოიღო შრომის ნაყოფიერების ამაღლების, კადრების დენადობის, საწარმოო ტრავმატობის შემცირების საქმეში. მას იყენებენ აგრეთვე მედიცინაში, სწავლებალ-აღზრდაში, ფორმალურ და არაფორმალურ სტრუქტურებს შორის წინააღმდეგობათა აღმოვანში და სხვა.

უროფე არ იქნებოდა, თუკი ჩვენც გამოვიყენებთ სოციალურიის ჩვენ საზოგადოების სოციალური მართვის პრაქტიკაში.

ნოაშვილი